



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ეკონომიკა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის
უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 14 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21 თებერვალი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ეკონომიკის ბაკალავრი, 0701
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (04.12.2014, #236)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ლობჯანიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა გიორგაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შპს კავკასიის უნივერსიტეტში ხორციელდება 2014 წლიდან. მისი ამოცანაა, მოამზადოს ეკონომიკის სფეროს მაღალი კვალიფიკაციის წარმატებული სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებათ გაუმკლავდნენ სფეროში არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს. მიმდინარე წლის ივნისის თვეში ცვლილებები შევიდა პროგრამაში. აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილებები აისახება 2017-2018 წელს და შემდეგ მიღებულ სტუდენტებზე. ცვლილებების შედეგად გაძლიერდა მათემატიკური კომპონენტი, სავალდებულო დისციპლინების ჯგუფს დაემატა რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური საგანი, გაუქმდა ძველი დაყოფა, საფაკულტეტო და სპეციალობის არჩევით და სავალდებულო ბლოკებად. მიმდინარე მდგომარეობით გვაქვს ზოგადსაუნივერსიტეტო სავალდებულო/არჩევითი, სპეციალობის სავალდებულო/არჩევითი, თავისუფალი კრედიტებისა და მეორე უცხო ენა და კვლევა/პრაქტიკის კომპონენტები.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა ცენტრის დირექტორის 2019 წლის 1154, 28 11.2019 ბრძანების შესაბამისად განახორციელა ვიზიტი შპს კავკასიის უნივერსიტეტში (ქ. თბილისში პაატა სააკაძის ქუჩა №1-ში მისამართზე) ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. ექსპერტთა ჯგუფმა ცენტრში 1740450, 20/12/2019 განცხადებით წარადგინა ცენტრში დასკვნის პროექტი. ცენტრიდან ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შპს კავკასიის უნივერსიტეტის წერილი №1421, 03/01/2020, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება ანალოგიურ პროგრამას (მიზანი, შედეგები, სტრუქტურა და სხვა) იგივე რესურსით ასევე ახორციელებდა ქ. ბათუმში არსებულ მისამართზე - თაყაიშვილის ქ. №36-38. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის დირექტორის 76134, 24/01/2020 ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ასევე ქ. ბათუმში.

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 13 დეკემბერს თბილისში პაატა სააკაძის ქუჩა №1-ში და 2020 წლის 3 თებერვალს თაყაიშვილის 36-ში ბათუმში. ვიზიტამდე შედგა ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი ვიზიტი ცენტრში. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

13 დეკემბერს, ქ. თბილისის მისამართზე, აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (ვიცე რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება.

3 თებერვალს ბათუმში თაყაიშვილის 36-ში 11 საათიდან დაიწყო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი), პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან აჭარის რეგიონში. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სააუდიტორიო ოთახები, კაბინეტები და

ა.შ) დათვალერება. სამუშაო შეხვედრა ორივეგან მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა:

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 2.4, და 2.6 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.1, 2.3 და 2.5 მეტწილად შესაბამისობაშია და 2.2 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 4.1, 4.2 და 4.4 შეფასდა, როგორც შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 4.3 როგორც ნაწილობრივ შესაბამისი;

მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტები შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან ხოლო სტანდარტის 5.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- მიზანშეწონილია, როგორც ეს პრეკალკულუსის შემთხვევაში, დაწესებულებამ არჩევით საგნებში შესთავაზოს ინგლისური ენა უფრო დაბალი საფეხურიდან ან A1.0 ან A1 იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც პროგრამაზე დაშვებული იქნებიან სხვა (ინგლისურის გარდა) უცხო ენით;
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსის ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლები თემატიკა დაეყრდნოს მითითებულ ძირითად ლიტერატურას (ანდერსენი, სვინი, უილიამსი) ან ორი სასწავლო კურსის ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლების და სტატისტიკა ეკონომისტებისათვის ნაცვლად შეთავაზებულ იქნას ერთი სასწავლო კურსი რელევანტური ლიტერატურით, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ალბათობის თეორიის ელემენტები;
- „საერთაშორისო ეკონომიკა“, „შრომის ეკონომიკა“ და „ქცევითი ეკონომიკა“ არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან უნდა გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში;
- არჩევით სასწავლო კურსს ქცევის ეკონომიკას წინაპირობად უნდა დაემატოს შესავალი ფსიქოლოგიაში;
- ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლები არის წინაპირობა სტატისტიკა ეკონომისტებისათვის, ამ სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსიდან გამომდინარე, პირიქით უნდა იყოს და შესაბამისად, მათი სწავლების თანმიმდევრობაც უნდა შეიცვალოს ან როგორც უკვე აღვნიშნეთ უკეთესი იქნება ერთი

სასწავლო კურსის შემუშავება, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ალბათობის თეორიის ელემენტები;

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მეთოდების სათანადო გამოყენება, როგორც თბილისის ასევე ბათუმის მისამართებზე არსებულ ფართებზე;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი გარემოს შექმნა ბათუმში არსებული ფართზე და სრულფასოვანი საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობა და მისი მომარაგება სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურითა თუ პერიოდული გამოცემებით;
- დაწესებულებამ უნდა მოაწყოს თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია ბათუმში არსებულ მისამართზე
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტულ რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით, რომელიც შემდგომში უნდა გადაეცეს პროგრამის ხელმძღვანელებს და ეკონომიკის სკოლის საბჭოს;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცედურების გარდა, აუცილებელია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე შემფასებლების (პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოძახილები, მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების შეფასებები) მოსაზრებების, შენიშვნებისა და წინადადებების მიღება. ასეთი შეფასებები ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი გაითვალისწინებს ბიბლიოთეკის მუშაობის გახანგრძლივების შესახებ (საღამოს 10:00 სთ-მდე სამუშაო დღეებში და შაბათს 8:00 სთ-მდე) სტუდენტთა სურვილს.

სასურველია გაძლიერდეს ფსიქოლოგიის სწავლება, მაგალითად ფსიქოლოგიის შესავალთან ერთად შეთავაზებულ იქნას „ეკონომიკური ფსიქოლოგიის“ სასწავლო კურსი.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკად შეგვიძლია განვიხილოთ მეორე უცხო ენის შეთავაზება სტუდენტებისათვის, ასევე, კავკასიის უნივერსიტეტი მეორე კურსიდან დაწყებული, პროგრამის სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით კურსებს მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტებში;

კავკასიის უნივერსიტეტი მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაცია (CEEMAN); საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლების ქსელი (NIBES); უნივერსიტეტის პრეზიდენტთა საერთაშორისო ასოციაცია (IUAP); ჰარვარდის ბიზნესის სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის წევრი (Harvard Business School's Institute of Strategy and Competitiveness Network), რაც მას მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს განათლების ბაზარზე.

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2019 წელს ცვლილებები შევიდა პროგრამაში. კონკრეტულად: პროგრამაში სავალდებულო საგნად დაემატა საგანი „სტატისტიკა ეკონომისტიებისთვის“, ასევე დაემატა საგანი „მაკროეკონომიკა 2“ („მაკროეკონომიკა 1“-ის გაგრძელება); პროგრამიდან ამოღებულ იქნა სავალდებულო საგანი „ქართული წერის და მეტყველების კულტურა“, რადგან გადაფარვა ჰქონდა „აკადემიური წერის საფუძვლებთან“; არჩევითი საგნებიდან სავალდებულოში გადავიდა საგნები: ეკონომეტრიკა (Eviewის გამოყენებით) და წრფივი ალგებრა, ასევე წრფივ ალგებრას შეუმცირდა კრედიტი, 6-ის ნაცვლად გახდა 5 კრედიტიანი; არჩევითი საგნებიდან ამოღებულ იქნა შემდეგი საგნები: „მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია,“ „ჯანდაცვის პოლიტიკა და რეფორმები,“ „ორგანიზაციული ქცევა,“ „საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები,“ „ფირმის ეკონომიკა და სტრატეგიები,“ „ჯანდაცვის ეკონომიკის საფუძვლები,“ „ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა,“ „სოციალური სტატისტიკა,“ „ეკონომიკური პროგნოზირება“, „მონაცემთა ანალიზი და ბიზნესის მოდელირება.“ მიზეზები, სხვადასხვაა, ზოგ შემთხვევაში, დიდი გადაფარვა იყო სხვა საგნებთან, ზოგ შემთხვევაში კი გამოიკვეთა აცდენა პროგრამის მიზნებთან და ჩანცვლდა უფრო რელევანტური საგნებით; გარდა ამისა, შემდეგი საგნები სავალდებულო საგნებიდან გადავიდა არჩევითი საგნებში: პრეკალკულუსი (ყველას არ უწევს ამ საგნის გავლა), ბიზნესის საფუძვლები, საერთაშორისო ეკონომიკა და საჯარო ფინანსები; ასევე თავისუფალი კრედიტები ამოღებულ იქნა სავალდებულო საგნების ჩამონათვალიდან და მეორე უცხო ენასთან ერთად შეადგინა ახალი ბლოკი, თავისუფალი კრედიტები/მეორე უცხო ენა; საგნებს „მიკროეკონომიკა ინტენსიური კურსი 1“, „მიკროეკონომიკა ინტენსიური კურსი 2“, „მაკროეკონომიკა ინტენსიური კურსი 1“, „ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლები“ შეეცვალა დასახელება და დაერქვა „მიკროეკონომიკა 1“, „მიკროეკონომიკა 2“, „მაკროეკონომიკა 1“, „სტატისტიკის საფუძვლები“; 6 კრედიტინი საგნები „ეკონომიკის კვლევის საფუძვლები 1“ და „ეკონომიკის კვლევის საფუძვლები 2“ გაერთიანდა და გახდა ერთი 10 კრედიტიანი საგანი „ეკონომიკის კვლევის საფუძვლები“; „სასწავლო პრაქტიკა ეკონომიკაში“ შეეცვალა კრედიტი, 8 კრედიტის ნაცვლად გახდა 10 კრედიტიანი; ინგლისურ ენას დაემატა ზოგადი ინგლისური C1.0 და ზოგადი ინგლისური C1 (სტუდენტს, ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულიდან გამომდინარე, საშუალება აქვს ინგლისურის სწავლა დაიწყოს ზოგადი ინგლისური B1.0-დან ან ზოგადი ინგლისური B2.0-დან და ვალდებულია გაიაროს 20 კრედიტი).

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც აქვს ეკონომიკის ძირითადი პრინციპების, პროცესებისა და თეორიების საფუძვლიანი ცოდნა; პროგრამას გააჩნია ფართო მიზნები. კერძოდ:

- მისცეს სტუდენტს ფართო თეორიული ეკონომიკური ცოდნა,
- შეუქმნას წარმოდგენა ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე,
- გამოუმუშავოს დინამიურ ეკონომიკურ გარემოში პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევები;
- გააცნოს ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე;
- თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე სტუდენტს შესძინოს კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე;
- კურსდამთავრებულს შეეძლოს ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, პრაქტიკული პროექტების განხორციელება;
- სტუდენტს გამოუმუშავოს ანალიზის, კრეატიული და ინოვაციური აზროვნების უნარები, შეეძლოს ეკონომიკური ხასიათის მონაცემების შეგროვების საფუძველზე სიტუაციების ანალიზი და განზოგადებული დასკვნების გაკეთება;

პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას და უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.

პროგრამის შემუშავებამდე დაწესებულებამ განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა. კვლევის მიზანი იყო შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის შეფასება და ამის საფუძველზე უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა, სადაც დეტალურად, ინდიკატორების მეშვეობით არის გაწერილი პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართება და მათი მიღწევის შეფასების დონეები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კავკასიის უნივერსიტეტის და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისია, მიზნები და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ბიზნესის სკოლის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია
- ვებგვერდი www.cu.edu.ge
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შინაარსით მოიცავს პირველი საფეხურის შესატყვის ძირითად ცოდნას და უნარებს. სწავლის შედეგები ძირითადად პასუხობს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგის თეორიული ცოდნის, მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციური, ასევე ანალიტიკური და აუცილებელი სოციალური უნარების განვითარებას.

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც შემუშავდა პროგრამის განახლებული მიზნებისა და სწავლის შედეგების საფუძველზე. შეფასების მექანიზმში აღწერილი სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. შეფასების მექანიზმში აღწერილი და გამოყენებულია როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი მეთოდები. კერძოდ: პირდაპირი შეფასებისას ხორციელდება დაკვირვება პროგრამის კომპონენტების სტდუნტების მიერ ათვისების მაჩვენებელზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელზე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით. არაპირდაპირი მეთოდის ინსტრუმენტებად გამოიყენება პროგრამაზე ჩარიცხულ სტდუნტთა დინამიკა; მობილობის მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, მათ შორის იმ მიმართულებების მიხედვით რომლის არჩევის შესაძლებლობაც ეძლევა სტდუნტს; სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. შემუშავებული მექანიზმის საფუძველზე მოხდება პროგრამის პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგად საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმება ცვლილებების შეტანა პროგრამის შინაარსში და/ან სწავლის შედეგებში და/ან შეფასების სისტემაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;

<ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის მიზნები; ○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ○ კურიკულუმის რუკა; ○ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის	✓			

შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
---	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვის შესასრულებელი დეკლარაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აღწერა და შეფასება:</p> <p>ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.</p> <p>პროგრამაზე მიღების წინაპირობები და ინფორმაცია აღწერილია საბაკალავრო პროგრამების ანკეტა-კითხვარში. მასში მოცემულია პროგრამის დასახელება, აკრედიტაციის სტატუსი, დაფინანსების წესი (წლიური 3500 ლარი), კრედიტების რაოდენობა, მე-4 საგნის მიხედვით ჩაშლილი მისაღები კონტიგენტის რაოდენობა.</p> <p>ანკეტა-კითხვარში განსაზღვრულია პრიორიტეტებიც. პროგრამაზე ჩაბარების მსურველ აპლიკანტებს შეუძლიათ ჩააბარონ შემდეგი უცხო ენები: ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული. მესამე საგნად აბიტურიენტი აბარებს მათემატიკას, რომელსაც ენიჭება პრიორიტეტი.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის საჯარო და ხელმისაწვდომი კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.cu.edu.ge. კონკრეტულად მისაღებ პროცედურებზე ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მოიძიონ შემდეგ ლინკზე - https://cu.edu.ge/schoolss/cse/cse-programgs/cse-programs-undergraduate/economics-bachelor ასევე, სოციალურ ქსელებში; სტატიებში - როგორც ბეჭდურ, ასევე, ონლაინ მედიაში; საინფორმაციო ბროშურებში, რომელსაც უნივერსიტეტი სხვადასხვა დაინტერესებული პირისთვის ამზადებს და ავრცელებს შესაბამისი ხერხებით.</p> <p>აკადემიური წლის განმავლობაში კავკასიის უნივერსიტეტი აქტიურ ღონისძიებებს ატარებს იმისთვის, რომ დაინტერესებულ პირებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს, როგორც პროგრამებზე და სასწავლო პროცესზე, ასევე, მისაღებ პროცედურებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ უნივერსიტეტში აპლიკანტებისთვის იმართება კამპუს ტურები და საინფორმაციო შეხვედრები;
--

<p>➤ აბიტურიენტების მოზიდვის კამპანიის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა თემატური ტრენინგი, სემინარი, ვორკშოპი, კონკურსი და მასტერკლასი;</p> <p>➤ კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები ყოველწლიურად სტუმრობენ თბილისსა და რეგიონებში არსებული კერძო და საჯარო სკოლებს;</p> <p>ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტი კავკასიის უნივერსიტეტისგან იღებს ყოველწლიურ 500 ლარიან გრანტს იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული პროგრამის არჩევისას არის მისი I პრიორიტეტი და თუკი ის იღებს 70%-100%-იან სახელმწიფო გრანტს. გარადა ამისა, თუ სტუდენტი მოხვდება ეროვნული გამოცდების შედეგად ჯამური ქულების მიხედვით პირველ ხუთას აბიტურიენტში, ის ისწავლის სრულიად უფასოდ, არა მარტო ეკონომიკის, არამედ ნებისმიერ პროგრამაზე.</p> <p>ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი პროგრამაზე არ ზღუდავს ინგლისური ენის გარდა სხვა ევროპული ენებით აპლიკანტების მიღებას, შემდეგ მათ თხოვს სავალდებულოდ ინგლისური ენის C1 დონეზე ჩაბარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი ვერ მოიპოვებს ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხს. ამასთან, ინგლისურ ენის სწავლა იწყება B1.0 დონიდან, რაც ჩვენი აზრით მნიშვნელოვან პრობლემას შეუქმნის იმ სტუდენტებს, რომლებიც პროგრამაზე დაშვებული იქნებიან ინგლისური ენის გარდა სხვა უცხო ენებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, როგორც ეს პრეკალკულუსის შემთხვევაში, დაწესებულებამ არჩევით საგნებში შესთავაზოს ინგლისური ენა უფრო დაბალი საფეხურიდან ან A1.0 ან A1.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები); ○ ინფორმაციის საჯაროობა - პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები; ○ ვებგვერდი და სოციალური ქსელები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>მიზანშეწონილია, როგორც ეს პრეკალკულუსის შემთხვევაში, დაწესებულებამ არჩევით საგნებში შესთავაზოს ინგლისური ენა უფრო დაბალი საფეხურიდან ან A1.0 ან A1 იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც პროგრამაზე დაშვებული იქნებიან სხვა (არაინგლისური) უცხო ენით.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ძირითადი მახასიათებლები

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს:

- I სასწავლო წელი - 60 ECTS კრედიტი
- II სასწავლო წელი - 60 ECTS კრედიტი
- III სასწავლო წელი - 60 ECTS კრედიტი
- IV სასწავლო წელი - 60 ECTS კრედიტი

1 ECTS კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი და სხვა), ასევე, მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის სემესტრის ორგანიზება. ასეთ შემთხვევაში სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში აითვისოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 162 ECTS კრედიტი ეთმობა სავალდებულო დისციპლინებს. მათ შორის:

1. 30 კრედიტი - ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები

2. 20 კრედიტი - ინგლისური ენა
3. 82 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო საგნები
4. 30 კრედიტი - პრაქტიკული/კვლევითი სავალდებულო კომპონენტი

162 ECTS კრედიტის გარდა, სტუდენტს საშუალება ეძლევა დანარჩენი 78 ECTS კრედიტი აირჩიოს: 10 ზოგადსაუნივერსიტეტო არჩევითი საგნებიდან და 48 კრედიტი სპეციალობის არჩევითი საგნებიდან და 20 ECTS კრედიტი თავისუფალი კრედიტებისა და მეორე უცხო ენის მოდულიდან. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა კომპონენტების სინთეზის საფუძველზე.

საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტის განაწილების სქემა ასე გამოიყურება:

საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი ორიენტირებულია საბაზისო წერითი, და ვერბალური, მათემატიკური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური უნარების გამომუშავება-განვითარებაზე.

უცხოური ენების კომპონენტი ორიენტირებულია ინგლისური ენის, როგორც ძირითადი საკომუნიკაციო ენის, და მეორე ენის, როგორც დამხმარე ენის, სწავლების უზრუნველყოფაზე და აღნიშნულის მეშვეობით უცხოურ ენაზე კომუნიკაციის ხელშეწყობაზე, უცხოენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ინტეგრაციაზე, ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდაზე. მეორე უცხოურ ენად სტუდენტი შეისწავლის ფრანგულ/გერმანულ/ესპანურ/რუსულ/თურქულ ენებს. მეორე უცხო ენაში B1 და მეტი დონის სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მეორე უცხო ენის სწავლების 20 კრედიტის ნაცვლად აირჩიოს საგნები დარგობრივი და პროფესიული არჩევითი საგნებიდან.

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი ორიენტირებულია ეკონომიკაში არსებული თეორიებისა და პრინციპების, სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის მიცემაზე, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში დარგის ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარის სტიმულირებაზე, პროფესიული მოღვაწეობისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაზე.

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიღრმავოს ცოდნის ინტერესის შესაბამისად და აირჩიოს არჩევითი მოდულებიდან მისთვის სასურველი საგნები. არჩევითი მოდულებიდან სტუდენტი გადის საგნებს ისე, რომ სემესტრში დააგროვოს 30 კრედიტი. არჩევითი დისციპლინები სტუდენტებს აძლევს საშუალებას გამოიყენონ საბაკალავრო პროგრამის ძირითადი საგნების ფარგლებში მიღებული ცოდნა. არჩევითი საგნების ფარგლებში შეუძლია სტუდენტსა აირჩიოს **თავისუფალი კრედიტები** (20 ECTS) რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, მისი ინტერესების შესაბამისად, დაეუფლოს დამატებით ცოდნას ყოველგვარი ფორმალური გამართიანებელი სქემის გარეშე. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს საშუალებას თავისუფალი კრედიტების ფარგლებში ჩაეთვალოს კავკასიის უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან ან მობილობის დროს შესაბამისი კრედიტების აღიარების გზით. პროგრამის ზოგიერთი კომპონენტი ისწავლება ინგლისურ ენაზე.

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ვადაა 4 აკადემიური წელი. ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა, სტუდენტის სტატუსის

შენარჩუნებით, განაგრძოს დამატებითი სემესტრების განმავლობაში, საერთო ჯამში, არაუმეტეს 6 აკადემიური წლისა.

პროგრამის განვითარება დაგეგმილია ისე, რომ მისი შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა ძირითადად შეესაბამება სწავლების ეტაპს. სტრუქტურით და შინაარსით ის ძირითადად თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამას თან ერთვის სწავლის შედეგების აღწერის რუკა, რომელშიც დეტალურად არის ასახული პროგრამის 7 შედეგიდან, რომელი სავალდებულო საგანი რომელ შედეგზე გადის და რა ხარისხით: დაბალი, საშუალო თუ მაღალი.

პროგრამის განვითარებაში ჩართულები არიან დაინტერესებული მხარეები - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და ა.შ. პროცესში ხდება ახალი კვლევების შედეგების, დარგის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინება. კავკასიის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, პროგრამის სტრუქტურის მიმართ გვაქვს გარკვეული შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება კიდევ უფრო გააუმჯობესებდა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ:

1. პროგრამის სასწავლო გეგმით საკმაოდ გაძლიერებულია რაოდენობრივი კომპონენტი, კერძოდ ის ითვალისწინებს პრეკალკულუსს, კალკულუს 1,2, ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლებს, სტატისტიკა ეკონომისტებისათვის, ეკონომეტრიკას, მონაცემთა ანალიზი და ეკონომიკურ მოდელირებას. სასწავლო კურსის სტატისტიკა ეკონომისტებისათვის მიზანი, სწავლის შედეგები, თემატიკა და ლიტერატურა არანაირ კითხვებს არ იწვევს, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლების სასწავლო კურსის შესახებ. სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგები ბუნდოვანია. გარდა ამისა, სასწავლო კურსი არ მიჰყვება მითითებულ ძირითადი ლიტერატურის თემატიკას. კერძოდ ძირითად ლიტერატურად მითითებულია ანდერსენი, სვინი, უილიამსი „სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისათვის“ 2015 წლის გამოცემა მაგრამ თემატიკა მიჰყვება გაბიძაშვილის სტატისტიკა, ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში 2011 წლის გამოცემას. ამასთან, გაბიძაშვილის სტატისტიკა მორეგებულია იმ ადამიანებს, რომლებმაც უკვე ისწავლეს ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლები, მაშინ როდესაც ანდერსენი, სვინი, უილიამსის სახელმძღვანელო მეოთხე თავიდან ასწავლის ალბათობის შესავალსა და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმჯობესია აღნიშნული ორი სასწავლო კურსის წამყვანებმა ერთობლივად შეიმუშაონ ერთი სასწავლო კურსი რელევანტური ლიტერატურით და შესთავაზონ სტუდენტებს.
2. ეკონომიკის მთავარ საფუძვლებით ისეთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები როგორცაა „საერთაშორისო ეკონომიკა“, „შრომის ეკონომიკა“ და „ქცევითი ეკონომიკა“ არჩევითი კურსებია, რაც ექსპერტთა აზრით არ არის გამართლებული.
3. არჩევით სასწავლო კურსს ქცევის ეკონომიკას წინაპირობად უნდა დაემატოს შესავალი ფსიქოლოგიაში.

4. ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლები არის წინაპირობა სტატისტიკა ეკონომისტებისათვის, ამ სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსიდან გამომდინარე პირიქით უნდა იყოს და შესაბამისად, მათი სწავლების თანმიმდევრობაც უნდა შეიცვალოს ან როგორც უკვე აღვნიშნეთ უკეთესი იქნება ერთი სასწავლო კურსის შემუშავება, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ალბათობის თეორიის ელემენტები.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ✓ კურიკულუმის რუკა;
 - ✓ ვებგვერდი;
 - ✓ პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
 - ✓ გამოკითხვის შედეგები;

რეკომენდაციები:

1. ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლების სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგები ბუნდოვანია. გარდა ამისა, სასწავლო კურსი არ მიჰყვება მითითებულ ძირითადი ლიტერატურის თემატიკას. (ძირითად ლიტერატურად მითითებულია ანდერსენი, სვინი, უილიამსი „სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისათვის“ 2015 წლის გამოცემა მაგრამ თემატიკა მიჰყვება გაბიძაშვილის სტატისტიკა, ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში 2011 წლის გამოცემას. ამასთან, გაბიძაშვილის სტატისტიკა მორეგებულია იმ ადამიანებს, რომლებმაც უკვე ისწავლეს ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლები, მაშინ როდესაც ანდერსენი, სვინი, უილიამსის სახელმძღვანელო მეოთხე თავიდან ასწავლის ალბათობის შესავალსა და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლებს). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სასწავლო კურსის თემატიკა დაეყრდნოს მითითებულ ძირითად ლიტერატურას (ანდერსენი, სვინი, უილიამსი) ან ორი სასწავლო კურსის ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლების და სტატისტიკა ეკონომისტებისათვის ნაცვლად შეთავაზებულ იქნას ერთი სასწავლო კურსი რელევანტური ლიტერატურით, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ალბათობის თეორიის ელემენტები;
2. „საერთაშორისო ეკონომიკა“, „შრომის ეკონომიკა“ და „ქცევითი ეკონომიკა“ არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან უნდა გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში;
3. არჩევით სასწავლო კურსს ქცევის ეკონომიკას წინაპირობად უნდა დაემატოს შესავალი ფსიქოლოგიაში;
4. ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლები არის წინაპირობა სტატისტიკა ეკონომისტებისათვის, ამ სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსიდან გამომდინარე, პირიქით უნდა იყოს და შესაბამისად, მათი სწავლების თანმიმდევრობაც უნდა შეიცვალოს ან როგორც უკვე აღვნიშნეთ უკეთესი იქნება ერთი სასწავლო კურსის შემუშავება, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ალბათობის თეორიის ელემენტები.

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p style="padding-left: 20px;">✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აღწერა და შეფასება:</p> <p>ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია (იხ. 2.2 ქვესტანდარტის რეკომენდაციები) აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგებთან. თავის მხრივ, თითოეული სასწავლო კომპონენტის შინაარსი, მოცულობა და დატვირთვა განსაზღვრავს კრედიტების რაოდენობას და მიღწევადს ხდის კომპონენტით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკასა და განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები.</p>

<p>პროგრამა თავისი სტრუქტურით: მოდულებით, წინაპირობებით, სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მეტწილად (იხ. 4.3 ქვესტანდარტი) შესაძლებელს ხდის სტუდენტს განუვითაროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა დარგობრივი (თეორიული და პრაქტიკული) და ზოგადი კომპეტენცია. დარგობრივი კომპეტენციების მიღწევა მეტწილად (იხ. 4.3 ქვესტანდარტი) უზრუნველყოფილია თითოეული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული ლიტერატურითა და სხვა მასალით, რომლებიც მედიასა და ზოგადად, მასობრივი კომუნიკაციის სფეროში აქტუალურ, რელევანტურ თანამედროვე გამოწვევებსა და მიღწევებს ასახავს.</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტში არსებობს სილაბუსის ერთიანი ფორმა. ყოველ საგანს აქვს მის შინაარსზე, მიზნებსა და სწავლის შედეგებზე მორგებული სილაბუსი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ სილაბუსები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>უნდა დაზუსტდეს ეკონომიკის სტატისტიკის საფუძვლების სასწავლო კურსის მიზნები და სწავლის შედეგები.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p> ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ტრანსფერული უნარების განვითარება</p>	<p>და</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>	
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აღწერა და შეფასება:</p> <p>ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში სწავლების მეოთხე წელს სავალდებულო კომპონენტად არის ჩართული, კვლევითი და პრაქტიკის კომპონენტი, რაც მოიცავს ეკონომიკური კვლევის მეთოდების შესწავლას, პროფესიული პრაქტიკის გავლას საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.</p> <p>რეგულარულად, ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები, სადაც გამომსვლელები აჩვენებენ მაღალ შედეგებს და საინტერესო ხედვას ეკონომიკის მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე.</p> <p>ეკონომიკის სკოლის სტუდენტები ჩართული არიან (ასისტენტად) კვლევით პროექტებში, რომლებსაც სკოლა ახორციელებს, უნდა აღინიშნოს, რომ რეალურ კვლევით პროექტებში მონაწილეობა ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებას.</p>	
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდი (ეკონომიკის სკოლის განყოფილება) ✓ კავკასიის უნივერსიტეტის სოციალური ქსელების გვერდი ✓ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის ამსახველი დოკუმენტაცია; ✓ პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია; ✓ მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; ✓ შესაბამისი ხელშეკრულებები პროექტებში ჩართულ აკად/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან. 	
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>	
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>	
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის 	
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○ 	

შეფასება

ი გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისას გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, წერიტი მუშაობის, ლაბორატორიული, პრაქტიკული, ახსნა-განმარტებითი, დისკუსია/დებატები, როლური და სიტუაციური თამაშების, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, შემთხვევის ანალიზის (Case study), დემონსტრირების ევრისტიკული და სხვა მეთოდები. ასევე გამოიყენება პროექტის შემუშავება და პრეზენტაციის, ელექტრონული სწავლების (E-learning), თანამშრომლობითი (cooperative) სწავლების და გონებრივი იერიშის (Brain storming) მეთოდები. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის შერჩეულია ისეთი რელევანტური სწავლის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და მიზნებთან და შესაძლებელს ხდის კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ სწავლების მეთოდების გარკვეული ნაწილი (მაგ. ლაბორატორიული სწავლება, ელექტრონული სწავლება) ვერ ან სრულად ვერ იქნება გამოყენებული ბათუმში არსებულ ფართში, ვინაიდან ის არ არის სათანადოდ აღჭურვილი (იხ. 4.3 ქვესტანდარტი).

ჯამში, პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის მოქნილი და მორგებულია ცალკეული სტუდენტის ინდივიდუალურ უნარებსა და საჭიროებებზე და მითითებულია თითოეული კომპონენტის სილაბუსში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაში აღწერილი სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სილაბუსები;

რეკომენდაციები:

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მეთოდების სათანადო გამოყენება, როგორც თბილისის ასევე ბათუმის მისამართებზე არსებულ ფართებზე

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
